



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1055  
01/06/2018

ქალაქი ბათუმი

1055-05-4-201806011157



### **ვახტანგ დიასამიძის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის თანამდებობაზე 12 თვით გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“- საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 45-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, მირზა ბახტაძის 2018 წლის 18 მაისის №1411-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 15 მაისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №4“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და ვახტანგ დიასამიძის 2018 წლის 25 მაისის №7556/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დაინიშნოს ვახტანგ დიასამიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის თანამდებობაზე 12 თვით გამოსაცდელი ვადით, 2018 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 01 ივნისის ჩათვლით.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა